უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

შპს „პსპ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგება

2010 წლის 1 იანვარი - 2010 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 4
ბალანსი 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

ლიცენზია სადაზღვევო აუდიტში № დ-163. საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 39-33-50 (ფაქსი), 39-33-56

1. დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„პსპ დაზღვევის“**-ს 2010 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შპს **„პსპ დაზღვევის“**-ს (შემდგომში – *საწარმო*) 2010 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშგების აუდიტი. *საწარმო* დარეგისტრებულია 24.12.2007წ. ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი №204545572, იურიდიული მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №148/3. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია *„მეწარმეთა შესახებ“* საქართველოს კანონის შესაბამისად. *საწარმოს* გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 2500000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 1876140 ლარი. მისი 100% დამფუძნებელი არის საქართველოს მოქალაქე, კახაბერ ოქრიაშვილი. *საწარმო* დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს.

2. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი *„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“* საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში.

3. აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული *საწარმოს* ხელმძღვანელს. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

4. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, შპს **„პსპ დაზღვევის“**-ს 2010 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობა დაცულია. წარმოდგენილი 2010 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია *ბასს 1* და *ბასს 7* მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

გენერალური დირექტორი, სერტიფიცირებული აუდიტორი
სადაზღვევო აუდიტში, ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი

გიორგი ცერცვაძე
06.05.2011

შპს "პსპ დაზღვევა"
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2010 წლის 1 იანვრიდან – 2010 წლის 31 დეკემბრამდე

	შენიშვნა	2,010
მოზიდული ჯამური პრემია		584,194
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(491,358)
გადაზღვევის ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		
გამომუშავებული პრემია:	3	***92,836***
სადაზღვევო ზარალები	4	(44,824)
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		***48,012***
მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი	5	(29,210)
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(105,169.00)
სულ საოპერაციო მოგება:		***(86,367)***
ფინანსური შემოსავალი	7	113,149
მოგება დაბეგვრამდე:		**26,782**
მოგების გადასახადი	8	7,472
პერიოდის მოგება (ზარალი)		**19,310**

გენერალური დირექტორი _____ *გ. გეგუჩაძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

შპს "პსპ დაზღვევა"
ბალანსი
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2011	ბალანსი 01.01.2010
სულ მიმდინარე აქტივები:		***2,277,924***	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,689,323	
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	10	526,597	
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	11	56,149	
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	12	5,855	
სულ გრძელვადიანი აქტივები		***745,048***	***1,500,000***
ძირითადი საშუალებები	13	117,381	
არამატერიალური აქტივები		3,806	
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		623,860	1,500,000
აქტივები სულ:		***3,022,972***	***1,500,000***
სულ მიმდინარე ვალდებულებები		***58,982***	-
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	14	1,400	
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		29,210	
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		20,709	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	7,664	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		***498,830***	-
გადავადებული მოგების გადასახადი	16	7,472	
გადავადებული შემოსავალი	17	491,358	
ვალდებულებები სულ:		***557,812***	-
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,500,000	1,500,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(34,840)	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)			
კაპიტალი სულ:		***2,465,160***	***1,500,000***
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		***3,022,972***	***1,500,000***

გენერალური დირექტორი _____ *გ. გეგუჩაძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

შპს "პსპ დაზღვევა"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2010 წლის 1 იანვრიდან – 2010 წლის 31 დეკემბრამდე

	2010 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებული სადაზღვევო პრემია	41,314.09
ანაზღაურებული ზარალები	(20,472)
გადახდილი ხელფასები	(51,954)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(16,224)
მიმწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები (ავანსები)	(56,149)
გადახდილი საიჯარო ქირა	(1,200)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(26,568)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(131,252)***
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(123,301)
მიღებული პროცენტები	107,293
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(16,008)***
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან	1,876,140
გადახდილი დივიდენდები	(51,442.50)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***1,824,698***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	11,886
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	***1,689,323***
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	**-**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	**1,689,323**

გენერალური დირექტორი _____ *გ. გეგუჩაძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

შპს "პსპ დაზღვევა"
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
ნაშთი 2009 წლის 1 იანვრისთვის		-	-		
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	1,500,000				**1,500,00(**
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)					
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრისთვის	**1,500,000**	-	-	-	**1,500,00(**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	1,000,000				**1,000,00(**
გაცხადებული დივიდენდები				54,150	
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)				19,310	**19,31(**
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის	**2,500,000**	-	-	**(34,840)**	**2,465,16(**

გენერალური დირექტორი _____ *გ. გეგუჩაძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „პსპ დაზღვევა" (შემდგომში – კომპანია) დაარსდა 2007 წლის 24 დეკემბერს საქართველოს *"მეწარმეთა შესახებ"* კანონმდებლობის. 2010 წლის 16 აპრილს კომპანიამ აიღო სადაზღვევო ლიცენზია, რომლითაც 2010 31 დეკემბრის მდგომარეობით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. *კომპანიის* გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 2500000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 1876140 ლარი. მისი 100% დამფუძნებელი არის საქართველოს მოქალაქე, კახაბერ ოქრიაშვილი. საწარმო დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №148/3.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა, თუმცა 2010 წლის მანძილზე კომპანია ახდენდა ძირითადად ჯანმრთელობის დაზღვევას.

2010 წლის განმავლობაში კომპანიას ყავდა 8 ძირითად შტატში მომუშავე თანამშრომელი.

2. არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისების გაცემით. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს, დღის სიზუსტით, აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისის მოქმედება. პოლისის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავალი"-ის მუხლში.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო ხარჯებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში, „გადავადებული შემოსავალის" გრძელვადიან ვალდებულებათა მუხლში.

სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვები ფორმირების წესს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი. 2010 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი – *გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი და მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი.*

მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენს ლარში შექმნილ საანგარიშო პრიოდის ანარიცხებს, რომელიც იქმნება წლის ბოლოს იმ სადაზღვევო ზარალებისთვის რომლებიც განეკუთვნებიან საანგარიშო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში მათ შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ეს რეზერვი იქმნება სადაზღვევო პოლისების წმინდა რისკისგან გამომდინარე, ანუ გადაზღვევის პოლისების არსებობის გათვალისწინებით.

ანარიცხები

ანარიცხები ბალანსში ტარდება იმ შემთხვევაში თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული კომპანიის სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბაკო დეპოზიტებზე.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მოსალოდნელი მისაღები თანხების ოდენობით, საეჭვო სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების გათვალისწინებით.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

გადასახადები

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადი პირდაპირ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის უკავშირდება უშუალოდ კაპიტალის მუხლებს. ასეთ შემთხვევებში მოგების გადასახადი აისახება პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე წლის გადასახდელ გადასახადს, რომლითაც იბეგრება ერთი წლის შემოსავალი იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდისათვის. ასევე ამ დროს ხდება წინა წლებში გადახდილი გადასახადების კორექტირება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით.

3. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია

2010 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის გაცემიდან.

	2010 (ლარი)	2010 (ლარი)
	სამედიცინო დაზღვევა	სულ
მოზიდული ჯამური პრემია	584,194	**584,194**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(491,358)	**(491,358)**
	92,836	**92,836**

4. სადაზღვევო ზარალები

2010 წლის განმავლობაში კომპანიის სადაზღვევო ზარალები წარომადგენდა მხოლოდ სამედიცინო შემთხვევებიდან დამდგარი ზაალების ხარჯებს 44824 ლარის ოდენობით.

5. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი

კომპანია მომხდარ მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვს ქმნის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2010 წელს კომპანიის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენდა კომპანიის მიერ 2010 წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის, 584194 ლარის 5% - 29210 ლარი.

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2010 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	72094
იჯარა	1200
მარკეტინგის ხარჯი	12618
საკარნცელარიო ხარჯები	8390
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	10000
საბანკო ხარჯები	867

7. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2010 წლის აპრილიდან განათავსა ფულადი სახსრები ოთხ სხვადასხვა ბანკში – თი ბი სი ბანკში, საქართველოს ბანკში, ლიბერთი ბანკში და ქართუ ბანკში. კომპანიის 2010 წლის ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენდა ამ ოთხივე ბანკში განთავსებული დეპოზიტიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი – 113149 ლარი.

ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

8. მოგების გადასახადი

2010 წელს კომპანიას წარმოეშვა განსხვავება ფინანსურ მოგებასა და საგადასახადო მოგებას შორის დროებითი სხვაობების არსებობის გამო. 2010 წელს კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენდა 7472 ლარს.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)	ნაშთი 31.12.2009 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	30,046	0
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	44,256	0
დეპოზიტები	1,615,021	0
	1,689,323	**0**

10. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2010 წლ ის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება ჯანმრთელობის დაზღვევიდან 526597 ლარის ოდენობით.

11. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სხვა მიმდინარე მოთხოვნებს შემდეგი სტრუქტურა აქვს:

	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)	ნაშთი 31.12.2009 (ლარი)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	56,149	
	56,149	**0**

12. მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა დარიცხული პროცენტები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)	ნაშთი 31.12.2009 (ლარი)
თი ბი სი ბანკი	78	
ლიბერთი ბანკი	7	
საქართველოს ბანკი	88	
ქართუ ბანკი	5,683	
	5,855	**0**

13. ძირითადი საშეალებები და არამატერილური აქტივები

	შენობა-ნაგებობები (GEL)	ივჯარით აღებული ქონების რემონტი (GEL)	სატრანსპორტო საშუალებები (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით								**0**
დამატება				104590	14590		4122	**123302**
შემცირება								
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**0**	**0**	**104589.85**	**14590**	**0**	**4122**	**123302**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით								**0**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი				882	917		315	**2113**
ჩამოწერა								
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**0**	**0**	**882**	**917**	**0**	**315**	**2114**

14. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები – 1400 ლარის ოდენობით წარმოადგენდნენ 2010 წელს დარიცხულ, მაგრამ წლის ბოლოსთვის ჯერ გადაუხდელ საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებს.

15. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)	ნაშთი 31.12.2009 (ლარი)
გადასახდელი გადასახადები	149	
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	52	
გადასახდელი ხელფასები	7,463	
	7,664	**0**

16. გადავადებული მოგების გადასახადი

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2010					
ძირითადი საშუალებები	117,381	-	(117,381)	15%	(17,607)
არამატერიალური აქტივები	3,806	3,503	(304)	15%	(46)
საგადასახადო ზარალი	-	47,479	47,479	15%	7,122
ზარალის ანარიცხი	(20,395)	-	20,395	15%	3,059
სულ	**100,793**	**50,982**	**(49,810)**		**(7,472)**

17. გადავადებული შემოსავალი

	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)	ნაშთი 31.12.2009 (ლარი)
გადავადებული შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან	491358	
	491,358	**0**

18. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.